

## საბანკო ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე პირობები არეგულირებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ( შემდგომ „ბანკი“ ) მიერ კლიენტი ფიზიკური პირისათვის (შემდგომ „კლიენტი“ ან „მფლობელი“) საბანკო მომსახურების გაწევას, დაკავშირებულს შესაბამისი ანგარიშის გახსნასთან/საბანკო პროდუქტების და მომსახურებების პაკეტის შეძენასთან და ამ ანგარიშთან/საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების პაკეტთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების გაწევის წესს.

### 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 ბანკი უხსნის კლიენტს საბანკო ანგარიშ(ებ)ს და უწევს მას მომსახურებას წინამდებარე პირობებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 1.2 საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული კონკრეტული საბანკო მომსახურებების მიღების და ამ მომსახურებების წინამდებარე პირობებით დარეგულირების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის მიერ შესაბამის განაცხადში სათანადო ნების გამოვლენა.
- 1.3 სათანადო ნების გამოვლენაში აგრეთვე იგულისხმება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების პაკეტის არჩევა, რომელი პაკეტიც მოიცავს კონკრეტულ საბანკო სერვისებს.

### 2. საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობები

- 2.1 ბანკი ახორციელებს ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას მასზე არსებული ნაშთის (გარდა მინიმალური შეუმცირებადი ნაშთისა) / საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში.
- 2.2 ფულადი სახსრების გადარიცხვაზე კლიენტის საგადახდო დავალების შესრულება ბანკის მიერ ხორციელდება საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.3 კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, ამონაწერი ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ გაიცემა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.
- 2.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული.
- 2.5 გამოიყენოს ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები იმ პირობით, რომ კლიენტმა შეუფერხებლად მოახდინოს მათი განკარგვა.
- 2.6 კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში დახუროს ანგარიში.
- 2.7 მისცეს ბანკს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომლებიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული.
- 2.8 მოქმედი კანონამდებლობის შესაბამისად, გაითხოვოს ბანკში წარდგენილი საგადახდო დავალებები, ვიდრე მისი დავალება რეალურად არ შესრულებულა.

**ბანკი ვალდებულია**

- 2.9** დროულად მიიღოს და ჩარიცხოს გადმორიცხული ან ნაღდი სახით შემოსული ფულადი სახსრები ანგარიშზე.
- 2.10** შეასრულოს კლიენტის განკარგულება ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის ან ნაღდი სახით გაცემის შესახებ.
- 2.11** კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით ან ბანკთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშეც ჩამოწეროს შესაბამისი თანხები ანგარიშიდან, აგრეთვე განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.12** აუნაზღაუროს კლიენტს მიყენებული ზიანი, კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობისას, საოპერაციო დღის განმავლობაში ბანკში წარდგენილი საანგარიშსწორებო საბუთების წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში და წესით ბანკის ბრალეულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- კლიენტი ვალდებულია**
- 2.13** ანგარიშზე ფულადი სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ ბანკს.

### 3. საბანკო ბარათით მომსახურების პირობები

- 3.1** საბანკო ბარათის (შემდგომ „ბარათის“) მფლობელზე გაცემა ხორციელდება ბარათის მომსახურების საკომისიოს და მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემოტანიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) საბანკო დღისა.
- 3.2** ბარათათან ერთად მფლობელს გადაეცემა „პინ-კოდი“ დახურულ კონვერტში.
- 3.3** „პინ-კოდის“ დავიწყების/დაკარგვის შემთხვევაში, მფლობელის წერილობითი განცხადების, ბარათის დაბრუნების და ბარათის მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ გაიცემა ახალი ბარათი და „პინ-კოდი“.
- 3.4** „პინ-კოდის“ სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში ბარათი კავდება ბანკომატის მიერ. ბანკის ბანკომატში ბარათის დაკავების შემთხვევაში, ბარათის დაბრუნება შესაძლებელია სამი საბანკო დღის განმავლობაში თუ ბანკის გაყიდვის წერტილი განთავსებულია იმავე რაიონში/ქალაქში და მფლობელს სურვილი აქვს დაკავებული ბარათი მიიღოს აღნიშნულ გაყიდვის წერტილში. სხვა ბანკის ბანკომატის შეთხვევაში, მფლობელი ვალდებულია დაუკავშირდეს ბანკს დაკავებული ბარათის მისაღებად. არაპარტნიორი ბანკის ბანკომატის მიერ ბარათის დაკავების შემთხვევაში მფლობელს ეკისრება ბარათის ბანკომატში დაკავების ჯარიმა და ბარათის აღდგენის საკომისიო.
- 3.5** ბარათი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ მფლობელმა, მფლობელის მიერ ბარათისა და „პინ-კოდის“ მესამე პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.
- 3.6** ბარათი მოქმედებს მასზე მითითებული ვადის (თვე, წელი) თვის ბოლო დღის ჩათვლით.
- 3.7** მფლობელს საბანკო ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ოპერაციების წარმოებისათვის ეხსნება - „საბარათე ანგარიში“ (შემდგომ - „სა“).
- 3.8** „სა“-ზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.
- 3.9** „სა“-ზე არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში, ბანკი ატყობინებს (ბანკისათვის მისაღები ფორმით: სატელეფონო კავშირის (მოკლე ტექსტური შეტყობინება) მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით, შეტყობინებით ქაღალდის მატარებელზე) მფლობელს

დავალიანების დაფარვის შესახებ. დავალიანება დაფარულ უნდა იქნას შეტყობინებიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში.

- 3.10 არასანქცირებულ ოვერდრაფტზე ჯარიმების დარიცხვა ხორციელდება ოვერდრაფტის არსებობის პერიოდში ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.
- 3.11 წინამდებარე პირობების 3.9. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში ბარათი (ძირითადი და დამატებითი) იბლოვება (თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში). მფლობელს ეკისრება ბარათის სტოპ-სიაში მოთავსების საკომისიო.
- 3.12 მფლობელის მიერ „სა“-ს დახურვის (ბარათის გაუქმების) მოთხოვნის შემთხვევაში, „სა“-ზე არსებული თანხები გაიცემა ბარათის (ძირითადი და დამატებითის) დაბრუნებიდან 45 (ორმოცდახუთი) საბანკო დღის შემდეგ, ხოლო დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბარათის (ძირითადის და დამატებითის) მოქმედების ვადის გასვლიდან 45 (ორმოცდახუთი) საბანკო დღის შემდეგ.
- 3.13 „სა“-ის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში მფლობელს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.
- 3.14 მფლობელის მიერ „სა“-ს დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, „სა“-ს დახურვამდე მფლობელი პასუხისმგებელია „სა“-ზე განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე.
- 3.15 „სა“-ზე ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ბანკის სისტემაში ოპერაციების ჩატარებისას კონვერტაცია ხორციელდება „სა“-ზე/„სა“-დან თანხების ჩამოწერის/ჩარიცხვის დღისათვის არსებული სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კომერციული კურსით, ხოლო ბანკის სისტემის გარეთ ოპერაციის ჩატარებისას- ტრანზაქციის ჩატარების დღისათვის არსებული საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის კურსის შესაბამისად.
- 3.16 ბანკი პასუხს არ აებს, თუ ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ/ვერ მოხდა ბარათით თანხის განადება ბანკის სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში.
- 3.17 ბანკი პასუხს არ აებს ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების კანონიერებაზე.
- 3.18 თუ მფლობელი ბარათის დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მოითხოვს ბარათს, მაშინ ბარათი უქმდება. მფლობელს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება, ხოლო „სა“-ზე რიცხული კლიენტის ფულადი სახსრების დაბრუნება მოხდება მოთხოვნიდან ორი დღის ვადაში.
- 3.19 მფლობელის ინიციატივით ბარათის განახლების შემთხვევაში, არსებული ბარათი უბრუნდება ბანკს და მფლობელს ეკისრება ბარათის განახლების საკომისიოს გადახდა.
- ბანკი უფლებამოსილია**
- 3.20 ბარათის მოქმედების ვადაში, შეცვალოს ბარათი ახალი ბარათით, აღნიშნულის შესახებ მფლობელისათვის შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) დღის შემდეგ.
- 3.21 უარი განაცხადოს განაღდების დღიური ლიმიტის ცვლილებაზე.
- 3.22 მფლობელის მიერ საბანკო ბარათით მომსახურების პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკის ან დააკავოს ბარათი.
- 3.23 თუ ბარათის მფლობელი სარგებლობს სახელფასო პროექტის ფარგლებში მოქმედი შეღავათიანი ტარიფებით, მფლობელის მიმართ სახელფასო პროექტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, გაუუქმოს მფლობელს შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლება და მოემსახუროს ბანკში არსებული სტანდარტული ტარიფებით.

### ბანკი ვალდებულია

3.24 მოთხოვნის შემთხვევაში მფლობელს გადასცეს „სა“ ზე განხორციელებული ოპერაციების ამონაწერი.

### მფლობელი უფლებამოსილია

3.25 „სა“-ზე ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ტრანზაქციის ჩატარებიდან **30** კალენდარული დღის ვადაში წერილობით გაპროტესტოს აღნიშნული ტრანზაქცია. ამ ვადაში პრეტენზის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, ტრანზაქცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება.

3.26 მფლობელი ადასტურებს, რომ მის მიერ საერთაშორისო სისტემაში ჩატარებული ტრანზაქციის გაპროტესტების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გაპროტესტებიდან **180** დღის განმავლობაში შეისწავლოს გაპროტესტებული ტრანზაქცია.

### მფლობელი ვალდებულია

3.27 „სა“-ზე რიცხული მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის (ასეთის არსებობისას) გახარჯვის (შემცირების) შემთხვევაში ბანკის მიერ შეტყობინებიდან **30** (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში, შეავსოს მინიმალური შეუმცირებადი ნაშთი დადგენილ ოდენობამდე ან მოითხოვოს „სა“ -ას დახურვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის მიერ ბარათი (ძირითადი და დამატებითი) იბლოკება (თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში). მფლობელს ეკისრება ბარათის სტოპ-სიაში მოთავსების საკომისიო.

3.28 მის მიერ „სა“-ს დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, ბარათი დააბრუნოს დახურვის შესახებ განცხადების წარმოდგენისას.

3.29 ბანკის მიერ ბარათის შეცვლის შემთხვევაში, დააბრუნოს ბარათი შეტყობინებიდან **14** (თოთხმეტი) დღის ვადაში.

### ბარათის დაკარგვისას მოქმედების წესი

3.30 ბარათის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ ტელეფონის ნომერზე **+995 (32)224 24 24, +995 (32) 2505 505, +995 (32) 2505-506**.

3.31 სატელეფონო შეტყობინების მიღების, საიდენტიფიკაციო მონაცემების ან/და ქოლ სერვისის პინ კოდის დასახელების შემთხვევაში ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოთავსებას ლოკალურ სტოპ-სიაში.

3.32 მფლობელს ეკისრება ბარათის სტოპ-სიაში მოთავსების საკომისიო. შესაბამისი განცხადების მიღების და საკომისიოს გადახდის შემდეგ ბანკი ახორციელებს ახალი ბარათის დამზადებას.

3.33 მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით.

3.34 ბანკი პასუხს არ აგებს ბარათის დაკარგვის შესახებ შეტყობინებამდე და ბარათის ლოკალურ სტოპ-სიაში მოთავსებამდე „სა“-ზე განხორციელებულ ოპერაციებზე.

3.35 ბანკი არ არის პასუხისმგებელი ცრუ სატელეფონო შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე.

3.36 დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში ბარათი უნდა დაუბრუნდეს ბანკს.

### დამატებითი ბარათის გაცემის პირობები

- 3.37** მფლობელს უფლება აქვს გასცეს დამატებითი ბარათი. არასრულწლოვანის მიერ, გარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანისა, დამატებითი ბარათის გაცემა არ ხდება.
- 3.38** არასრულწლოვანზე დამატებითი ბარათი გაიცემა 14 წლის ასაკიდან, ამასთან თუ არასრულწლოვანს აქვს პირადობის მოწმობა, პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა.
- 3.39** დამატებითი ბარათით ან მისი რეკვიზიტებით „სა“-ზე ჩატარებულ ოპერაციებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ძირითადი ბარათის მფლობელს.
- 3.40** არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობისას, მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის გახარჯვისას (შემცირებისას), ბარათზე ოვერდრაფტით სარგებლობის უფლების დაშვებისას დავალიანების წარმოქმნისას და მფლობელის მიერ საბანკო ბარათით მომსახურების პირობების დარღვევის შემთხვევაში ძირითადი ბარათის ბლოკირებისას ავტომატურად იბლოკება დამატებითი ბარათი.
- 3.41** დამატებითი ბარათის ბლოკირება შესაძლებელია როგორც ძირითადი ბარათის, ისე დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. ძირითადი ბარათის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ბარათის ბლოკირება ნებისმიერი მიზეზით.
- 3.42** დამატებით ბარათზე ვრცელდება ძირითადი ბარათით სარგებლობის წესები და პირობები. დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია „სა“-ზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.
- 3.43** ერთ ბარათზე შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი დამატებითი ბარათის გაცემა.

#### 4. ქოლსერვისი

- 4.1** მხარეები ადასტურებენ, რომ ბანკის მერ კლიენტის სატელეფონო ზარის საფუძველზე (შემდგომ „ქოლსერვისი“) შესრულებულ ოპერაციებს გააჩნიათ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ქაღალდის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 4.2** წინამდებარე პირობები ვრცელდება კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ყველა მიმდინარე (მათ შორის საბარათე) ანგარიშზე.
- 4.3** ქოლსერვის საფუძველზე კლიენტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი საბანკო ოპერაციები (i) ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღება (ii) საკუთარ ანგარიშებზე თანხის უნაღდო კონვერტაცია (iii) გადარიცხვები საკუთარ მიმდინარე ანგარიშებს შორის (iv) ბანკის სისტემის შიგნით სხვა კლიენტის ანგარიშზე გადარიცხვები (v) კომუნალური გადასახადების გადახდა.
- 4.4** ქოლსერვისის მისაღებად კლიენტის მიერ ბანკში განხორციელებული სატელეფონო ზარის შემდეგ, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე კლიენტი ვალდებულია დაასახელოს მისთვის გადაცემული პინ-კოდის შესაბამისი ციფრები.
- 4.5** მხარეები თანხმდებან, რომ ქოლსერვისით სარგებლობისას კლიენტის იდენტიფიცირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს პინ-კოდი.
- 4.6** პინ -კოდის სწორად დასახელების შემთხვევაში ბანკი იღებს კლიენტისაგან ზეპირ დავალებას შესასრულებელი ოპერაციის შესახებ.
- 4.7** მიღებული დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად ბანკი აფორმირებს შესაბამის საბუთს ბანკის საოპერაციო დღის პროგრამაში.

**4.8** კლიენტის მიერ პინ – კოდის სამჯერ არასწორად დასახელების შემთხვევაში პინ – კოდი იბლოკება და კლიენტი ვალდებულია გამოცხადდეს ბანკის გაყიდვის წერტილში ახალი პინ კოდის მისაღებად.

**4.9** ბანკი უფლებამოსილია:

- დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს კლიენტის ზარის საფუძველზე ქოლსერვისის განხორცილებაზე.
- ქოლსერვისის ცალკეულ ოპერაციაზე ცალმხრივად დააწესოს ლიმიტები.

**4.10** ბანკი ვალდებულია:

- კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში გააუქმოს ქოლსერვისით მომსახურება.
- აწარმოოს კლიენტის მიერ განხორციელებული ზარების ჩაწერა და შეინახვა
- თუ ვერ ხერხდება ქოლსერვის საფუძველზე საბანკო ოპერაციის განხორციელება, დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ კლიენტს.

**4.11** კლიენტი ვალდებულია

- უსაფრთხოდ შეინახოს მისთვის გადაცემული პინ – კოდი და არ გახადოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოწვეულ შედეგებზე ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას.
- სრულად მიუთითოს ბანკს ქოლსერვისის საფუძველზე განსახორციელებელი ოპერაციისათვის საჭირო რეკვიზიტები.

**4.12** კლიენტი უფლებამოსილია:

**4.13** ბანკისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს გააუქმოს ქოლსერვისით სარგებლობის უფლება.

**4.14** ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ოპერაციის შედეგზე.

**4.15** გააპროტესტოს ქოლსერვისით განხორციელებული ტრანზაქცია არაუმეტეს **60** დღის ვადაში.

## 5. დისტანციური საბანკო მომსახურების ძირითადი პირობები

**5.1** წინამდებარე პირობებით მხარეები ცნობენ და ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ბანკის მიერ კლიენტისათვის დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით შესრულებულ ოპერაციებს გააჩნიათ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ქაღალდის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

**5.2** კლიენტს შეუძლია დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაციები.

### ბანკი უფლებამოსილია

**5.3** გააუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები.

**5.4** კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები და ა.შ) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, გადარიცხვების ვალუტა და ა.შ).

### ბანკი ვალდებულია

- 5.5 კლიენტის დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემაში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე, გადარიცხვებსა და დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემაში არსებულ სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა.
- 5.6 გადასცეს კლიენტის პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი (**Username**) და პაროლი (**Password**) (შემდგომ „სისტემის რეკვიზიტები“), რომელთა მეშვეობით ხდება დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემაში შესვლა.
- 5.7 უზრუნველყოს გადარიცხვების სერვისის უსაფრთხოება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნილი დინამიური კოდების გამოყენებით.
- 5.8 უზრუნველყოს ბანკის ვებ-გვერდზე დისტანციური საბანკო მომსახურებით სარგებლობის წესებისა და აღნიშნულ სერვისში სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება.
- კლიენტი უფლებამოსილია**
- 5.9 ბანკისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს გააუქმოს დისტანციური საბანკო მომსახურებით სარგებლობის უფლება.
- 5.10 წინამდებარე პირობების დაცვით აწარმოოს დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით ყველა შესაძლო ოპერაცია.
- 5.11 დამოუკიდებლად გამორთოს გადარიცხვების სერვისი.
- კლიენტი ვალდებულია**
- 5.12 უსაფრთხოდ შეინახოს ბანკის მიერ მინიჭებული „სისტემის რეკვიზიტები“, პაროლი კლიენტის შეუძლია შეცვალოს პირველი გამოყენების შემდეგ, ხოლო საიდენტიფიკაციო კოდი (**Username**) უცვლელია.
- 5.13 ხშირად ცვალოს პაროლი (**Password**), არ გაანდოს „სისტემის რეკვიზიტები“ მესამე პირს.
- 5.14 დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს და სისტემაში შესვლისას შეამოწმოს თავისი მონაცემების სისწორე.
- 5.15 მკაცრად დაიცვას დისტანციური საბანკო მომსახურების გადარიცხვების უსაფრთხოების პირობები, არ დაუშვას მესამე პირის წვდომა სისტემის რეკვიზიტებსა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებულ დინამიურ კოდამდე.
- განსაკუთრებული პირობები**
- 5.16 ბანკი კლიენტის საგადახდო დავალებას ასრულებს დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა, გარდა კნონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 5.17 კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ „ინტერნეტ ექსპლორერის“ (ბროუზერის) თანამედროვე ვერსია, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა 128 ბიტიან დაშიფრვას. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მხრიდან უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებზე და გადარიცხვებზე.
- 5.18 დისტანციური საბანკო მომსახურების ბანკის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ერთი კვირით ადრე შეატყობინოს კლიენტს ბანკისათვის მისაღები ფორმით.
- 5.19 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე, შეწყვიტოს კლიენტის მომსახურება დისტანციური საბანკო მომსახურებით, თუ კლიენტის მიერ 3 თვის განმავლობაში არ იქნება გადახდილი ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.
- 5.20 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
- 5.20.1 კლიენტის ტექნიკური საშუალებების გაუმართავით ან ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევებზე.
- 5.20.2 კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემებით შევსებით ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემის საშუალებით გადარიცხვისას არასწორი რეკვიზიტების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.

**5.20.3** კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწვეულ შედეგებზე.

**5.20.4** წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული ბანკის რეკომენდაციების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

## 6. SMS მომსახურების ძირითადი პირობები

**6.1** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით ბანკის მიერ კლიენტისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების (შემდგომ „SMS შეტყობინება“) გაგზავნის საფუძველზე კლიენტს უფლება აქვს მიიღოს, ხოლო ბანკი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთის და მიმდინარე დღის თარიღით ბანკში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის შესახებ, ასევე შესაძლებელია ბარათის ბლოკირება.

**6.2** პირობების **6.1** პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მისაღებად კლიენტი ვალდებულია SMS შეტყობინება გაგზავნოს ნომერზე **1505**. SMS შეტყობინების გაგზავნის ღირებულება განისაზღვრება ფიჭური კავშირგაბმულობის კონკრეტული ოპერატორის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

**6.3** საბარათე ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გაგზავნილი უნდა იქნას სიმბოლო **A**; ბარათის დასაბლოკად – სიმბოლო **B**, ვალუტის გაცვლითი კურსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად – სიმბოლო **C**.

**6.4** მომსახურების მისაღებად, კლიენტის მიერ SMS შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შესაბამის განაცხადში მის მიერ დაფიქსირებული ტელეფონის ნომრიდან.

## 7. მხარეთა ზოგადი უფლება - მოვალეობები

### ბანკი უფლებამოსილია:

**7.1** ანგარიშიდან (მათ შორის მინიმალური შეუმცირებადი ნაშთიდან) უაქცეპტოდ ჩამოწეროს:

**7.1.1** ბანკის მომსახურების საფასური ყოველი საბანკო ოპერაციის ჩატარებისას, დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

**7.1.2** წინამდებარე პირობების/ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტზე დაკისრებული ჯარიმა/საკომისიო/საურავი/პირგასამტებლო.

**7.1.3** დავალიანების თანხა, რომელიც კლიენტს ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე გააჩნია ბანკის მიმართ.

**7.1.4** შეცდომით ჩარიცხული თანხები და აღადგინოს შესაბამის ანგარიშზე ან გადარიცხოს დანიშნულებისამებრ.

**7.1.5** საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის და სხვა მომსახურე ბანკების საკომისიოები.

**7.1.6** ბანკის ფაქტიური დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო ბარათის უკანონო გამოყენების აღმოფხვრასთან (დაბლოკვა და ა.შ).

**7.2** კლიენტის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კომერციული კურსის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხის ვალუტა განსხვავდება დავალიანების სავალუტო ერთეულისგან.

**7.3** შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით გათვალისწინებული მომსახურება თუ **24** თვის განმავლობაში კლიენტი ვერ უზრუნველყოფს ანგარიშზე მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის არსებობას.

**7.4** დახუროს ანგარიში მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კლიენტის გაფრთხილების გარეშე.

- 7.5 ცალმხრივად შეწყვიტოს საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით ან/და საბანკო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობებით გათვალისწინებული მომსახურება ისე, რომ კლიენტს სხვაგვარად შეეძლოს მსგავსი მომსახურების მიღება, გარდა 2.6 ან/და 7.3 ან/და 7.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 7.6 მოსთხოვოს კლიენტს ზიანის ანაზღაურება/ჯარიმის გადახდა მის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის.
- 7.7 ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში/ტარიფებში და აღნიშნული ცვლილებები განათავსოს ბანკის ვებ-გვერდზე. ცვლილების (მათ შორის ტარიფების ცვლილების) შემდეგ კლიენტის მიერ ჩატარებული ოპერაცია ჩაითვლება მის მიერ ცვლილების დადასტურებად და თანხმობად.
- ბანკი ვალდებულია**
- 7.8 კლიენტის ანგარიშზე ოპერაციები აწარმოოს დროულად, წინამდებარე პირობების დაცვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- კლიენტი ვალდებულია**
- 7.9 წარუდგინოს ბანკს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად;
- 7.10 წარადგინოს ბანკში თავის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია;
- 7.11 ხუთი საბანკო დღის ვადაში წერილობით აცნობოს ბანკს შესაბამის განაცხადში მითითებული ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ და წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 7.12 ანგარიშზე საბანკო ოპერაციები განახორციელოს წინამდებარე პირობების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
- 7.13 ანგარიშზე ოპერაციების წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების საფასური/საკომისიო ტარიფების შესაბამისად.

## 8 მომსახურების ღირებულება

- 8.1 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებისათვის ტარიფების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პაკეტისათვის განსაზღვრული ტარიფებით.
- 8.2 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ტარიფები ან/და დააწესოს ახალი ტარიფები, ხოლო აღნიშნული ცვლილებები განათავსოს ბანკის ვებ-გვერდზე.

## 9 ინფორმაციის დაცვა

- 9.1 ბანკი და კლიენტი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:
- იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად;
  - ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
  - ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 9.2 წინამდებარე პირობების საფუძველზე, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური და/ან ნეგატიური), გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული 14.02.2005 წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #06/5-51) მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შესაძლოა გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის, ასევე მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია აღნიშნული მონაცემთა ბაზიდან.

- 9.3** კლიენტი ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებას მასზედ, რომ მიიღოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან.
- 9.4** წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.
- 9.5** ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.
- 9.6** ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ (შემდგომ „DRC“-ს, რომლის ს/კ **204547348**; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, I სართული; ვებ. გვერდი: [www.drc-arbitration.ge](http://www.drc-arbitration.ge)). ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ DRC-ს „საარბიტრაჟო წარმოების წესები“ (დებულება) წარმოადგენს მხარეთა შორის წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილს, აღნიშნული დებულებით განისაზღვრება ყველა ის საკითხი, რომელთა სხვაგვარად განსაზღვრის უფლებაც მხარეებს მიანიჭა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორიცაა არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის და საარბიტრაჟო განხილვის წესები. ამასთან, მხარეები ვთანხმდებით იმაზეც, რომ DRC-ს გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ აღსრულდეს მისივე სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ საჭიროებენ სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.